

რედაქცია

მელიქონის ქუჩაზე, პეტრე ჩაიგეტოვის სახლში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქონის სტამბაში. მალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисе. Въ редакцію газеты „Дროზდა“.

გაზეთის ღირებულება

წელიწადში 8 — მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. სალკე ნომერი — ერთი შაურსი.

დროება

გამოდის კვირარაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ენებზე.

განცხადების ღირებულება

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცოლოთი, სტრიქ. — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს გამოცხადებულ სტატიებსა და ლექსებს. სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ქუთაისის საადგილ-გაგულო განის გაგებობის კანდიდატები:

თავს-მგდომარე ბანკისა — **ბესარიონ ლოლაბერიძე.**

ღირებულებები: **ანტონ ლორთქიფანიძე და ბესარიონ ჯაფარიძე.**

ამათი კანდიდატები: **პეტრე ნაპაშიძე, დიმიტრი დადიანი და დავით ლორთქიფანიძე.**

გამგებობი გოც-და-თოთხმეტი ნომერი „დროებისა“ გამოცემაში გამაღვალს პარასკევს, 9 აპრილს.

საქართველო

ქუთაისის განის გაგებობა

იმ განცხადების ძალით, რომელიც ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ (№ 29) დაბეჭდილი, მომავალი აპრილის 14-ს დანიშნულია ქუთაისში თავდაზნაურთა საზოგადო კრება, რომელმანც უნდა ამოირჩიოს საადგილ-მამულო ბანკის მოთავე კაცები ანუ გამგებობა. ძრებამ უნდა ამოირჩიოს ბანკის ზედამხედველი კომიტეტის ექვსი წევრი და საკუთრივ გამგებობა, ე. ი. ერთი გამგებელი ბანკისა, ორი ღირებულები და სამი ამათი კანდიდატი. ბევრბუნებთან და გვეყრენ, რომ ქუთაისის გუბერნიის თავდაზნაურო-

ბა დიდს მზადებაში და ფაცა-ფუცში არისო; პარტიებს აღგენენ, ენებს ილესენ, ჯიბეებზე ხელს ისობენო. შოველ ადგილისთვის რაჭდენიმე კანდიდატი ემზადებო; ზოგს მარტო სახელისთვის უნდა რაიმე თანამდებობა მიიღოს ბანკში და ზოგს სახრავიც არ ავიწყდება; ზოგი კი ამ ბანკის ამოჩვენებით აპირებს სარგებლობას მით, რომ მისში მარშლეების კენჭის-ყრის დროს გაიტანოს რამეო, ერთმანეთს უცელიან აღგოსო; — უნდ ღირებულებად ამომარჩიე, მე ჩემი პარტიით თეთრს ჩაგვადებ, როცა მარშლობაზე იყრი კენჭსაო!

ამ განცხადებულ მოძრაობაში და ლელვაში ბევრი სასურველი მხარეებია: ეს გვიბეჭდეს, რომ ხალხს არ სძინავს, რომ ის მხურვალე მონაწილეობას იღებს ყველა საქმეში, რომელსაც საზოგადო, საქვეყნო მნიშვნელობა აქვს; და ამგვარი თვისე-

ბა ხალხისა მომავლისთვის ბევრ სასურველი მოვლენას გვიქადის.

შედეგება ეს არის მხოლოდ, რომ ამ ფაცა-ფუცში ძალიან ხშირად უფრო კერძო ინტერესები, უფრო საკუთარი სარგებლობა მოჩანს და არა საზოგადო სიკეთე ხშირად იმიტომ კი არ იჩვენებ რომელსაჲ პირს, რომ ის ამ ალაგზე საზოგადოებისათვის გამოსადევი იქნებო, არამედ იმიტომ, რომ ის ჩვენი კაციაო, ღარიბი ოჯახი აქვსო, ცოტა შემწობა მივსცეთო, ან კიდევ ნათესაობით, მოყვრობით და სხვა ამ გვარი მიზნებით.

შეგლა ამისთანა საფუძელები ჩვენმა თავდაზნაურობამ უნდა დაიფუცოს ახლა, როცა ბანკის მოხელე კაცებს არჩევს; უნდა დაიფუცოს, თუ ჰსურს, რომ ეს ნორჩი ბანკი თავიდანვე არ დაიღუპოს, თავდაღმართში არ დაშვას და დაშვების დროს ისიც თან არ გადიტანოს.

შეზღისა და თუნდაც გუბერნიის მარშლები, ვინც გნებავდათ, დღემდე, იმის ამორჩევა შეგეძლოთ. მახუშტი იქნებოდა თუ პეტრე — ამით მაინცა-და-მინც ბევრი არ ეზიანებოდა ქვეყანას.

მაგრამ დღეს კი სხვა; ერთს უხვირო არჩევანს, უეჭველია, დიდი მნიშვნელობა ექნება შემდეგში ჩვენი საადგილ-მამულო ბანკის ბედი-

სათვის და ამასთან ჩვენი შემამულებებისთვისაც.

პირდეთ ისეთ კაცებს, რომელნიც გეხვეწებოდნ, ოქროვან მთებსა და გაკეთებას გპირდებოდნ.

პირდეთ იმისთანებს, რომელნიც პარტიებს არღვენენ, რომლებშიაც აღრიც შევიჩინებოთ მიღგომლება, დენა კერძო ინტერესებისა და უადგილო თავმოყვარეობა.

ამგვარი კაცები კეთილს არ დააყრიან თქვენს ბანკს, კეთილს არ დააყრიან არც თვითონ თქვენს, რადგან ისინი ყველაფერს თავის ფურთო სარგებლობის ყალიბზე სჭირან.

ამორჩიეთ თავიანი, ენერგიული, პატიოსანი კაცები.

ამორჩიეთ ისეთი კაცები, რომელთაც ან შეუწავლიათ ეს ბანკის საქმე, ან შეუძლიანთ შეისწავლონ.

ამორჩიეთ ისეთი პირნი, რომელნიც არ გთხოვენ ამორჩევასა.

ბანკის საქმე ახალი საქმეა ჩვენში, იმას ახალი კაცები ეჭირება.

ჩვენი ჰაზრით, ამ ბანკის საქმეს ვერავინ ვერ წაყვანს ამ ჟამად ისე რიგთანათ, ვერავინ ვერ შეასრულებს ამ მძიმე მოვალეობას ისე კარგათ, როგორც ის პირნი, რომელნიც დღევანდელი ჩვენი გაზეთის სათაურში არიან დასახელებულნი.

გვერდობა

ზ. ანტონოვის თხზულებაანი. თფილისი, 1876 წელს. მ. ხელაძის სტამბა *)

წარსულ ნომერში ჩვენ გაეჩერდით, ჩემო მკითხველო, იმ კითხვაზე, თუ რისგან იყო ჩვენი ლიტერატურის ზნეობით დაცემა. — არ ნიშნავდა ეს განა, რომ ჩვენი ლიტერატურა მაშინ აღარ იყო ხალხის ნამდვილი წარმომადგენელი? აღარ იყო მისი ბუნებითი ნაკადი წყარო?

შეიძლება აქ კიდევ სთქვას ვინმემ, რომ ამ დროს ჩვენი ლიტერატურის დაგრძობილობის მიზეზი სხვა იყო; მაგრამ ეს მიზეზი ისეთი უმნიშვნელოა, რომ ღირსიც არ არის ყურადღებისა, მით უმეტეს რომ ზ. პრისთვისა და ზ. ანტონოვის დროს ეს გარემოება არ იყო და თუ იყო — უსუსური. ეს გაძლიერდა მხოლოდ მათ შემდეგ.

მაშ რა იყო ამგვარი მოვლინების მიზეზი? როცა საქართველოში შემოვიდა მშვიდობიანობა, შესწყდა შინაგანი განხეთქილება და გარეშე მტრები იმდენი და ისე მძინვარე აღარ იყვნენ, რად არ ისარგებლეს ამ შემთხვევით ჩვენმა წარჩინებულებმა?

მართალია, ამ დროს საქართველოში გონებით და ზნეობით ძლიერნი ძალნი, რომელთაც ლიტერატურისთვის მაგარი საფუძეელი უნდა მიეცათ, მაგრამ ამ დაუძლიერებულ საზოგადოებაში ისინიც ბევრს ვერას იქმოდნენ. ლიტერატურისთვის საჭირო იყო და არის პატარა მკითხველი საზოგადოება მაინც, რომელმაც მატერიალურად და ზნეობით შეამადგროს ის. ჩვენში არც ეს იყო. შეეჭველია, ლიტერატურამ ეს პატივი უნდა დაიმსახუროს; მაგრამ როდესაც ჩვენში ამ დროს არავითარი პერიოდული გამოცემა არ იყო, საზოგადოება რათ იყო ავთი გულ-გრილი, რათ არ ეცადა სამშობლო ლიტერატურის გაუმჯობესებისთვის, რათ არ დასჯერდა დროებით მკირვსაც, თუ ის გულწრფელი იყო და გრძნობდა ამ ზნეობის მოთხოვნებს? მაგრამ... სულით უსუსური ჰმონებენ ხორცსა; სხვა მხარემ გარდობია საზოგადოება.

თუმცა ეს ასე იყო, მაგრამ მაინც კიდევ ვერავინ გვეტყვის, რომ ზ. პრისთვისა და ზ. ანტონოვის კარგი გავლენა არ ჰქონდადეს საზოგადოებაზე. ეს მტკიცდება მით, რომ მას აქეთ ავტო თითქმას ოც-და-ათი წელიწადია, რაც ზ. პრისთვის და ზ. ანტონოვის პიესები ტრიალებენ ქარ-

თულ სცენაზე. ეს უბრალო შემთხვევა არ არის; თუ ზ. პრისთვის და უფრო ზ. ანტონოვის პიესებში არ ყოფილიყო ხალხის ცხოვრების რაიმე ნამდვილი სურათი, დღეს იმათ ამგვარი მნიშვნელობა არ ექნებოდათ საზოგადოების თვალში. ზოგიერთი ზ. ანტონოვის პიესები („მზის დაზნელება“, „მორალლი“ და განსაკუთრებით „ხევსურთ მორწინება“) გვიბეჭდებენ, რომ თუ ანტონოვი უკეთეს გარემოებაში დაბადებულიყო, მისი პოეტური ტალანტი, — რომელიც ზოგიერთ მის პიესებშია გამოხატული, — ბევრს რასმე კარგს დასწერდა; მაგრამ უწყალო ბუნებამ ესეც უღროოდ მოგეტაცა.

როგორც ვიცით ზ. ანტონოვის ბიოგრაფიიდან, მას საშუალო სასწავლებელიც არ დაუსრულებია, მაგრამ ნიჭმა და მეცადინეობამ თავისი გაიტანა, ბუნება თითქო უმზადებდა მას რაღაც კეთილს მომავალს. ეს იყო თეატრი. ანტონოვი შევიდა თეატრში და შესვლისთანავე პიესების წერა დაიწყო. მას იმას ნიშნავს, რომ ხალხის ისტორიულმა კანონმა თითქო უჩვენა მას ალაგი. არ იფიქროს მკითხველმა, რომ ჩვენ ამითი ან მისი ზეცაში აფრენა გვინდოდეს და ან ჯურღმულში ჩაგდება; ჩვენ მით მოხარული ვართ, რომ ეს ასე

იყო. ძალი მაშინ არის ნამდვილი კაცი, თუ მასში ცუდი მხარეც არის და კარგიც, მაგრამ ყოველს ღონისძიებას ხაზობს უკეთეს მხარეს უპირატესობა მისცეს, და დასძლიოს თავისი ბოროტი მხარე, რომ მით საზოგადოებას რამე სარგებლობა მოუტანოს; რამოდენათ ეს ბრძოლა ძლიერია და დამამორჩილებელი ბოროტი მხარის, იმოდენათ პატივსაც ესცემთ ჩვენ ამისთანა კაცებს. ასე იყო ანტონოვიც.

თუ მასში ნაკლები ენება იყო რაიმე, მასთან ისეთი ღირსებებიც ჰქონდა, რომ ჩვენ მის ცუდს მხარეს გვერდს ვუვლით და ვუდგებით იმ მხრით, საიდგანაც სიკეთეს ვხედავთ.

ჰსჩანდა, რომ მისი ნიჭი თეატრი-საკენ უფრო იწეოდა. ხალხის გაღვიძებისთვის არა ფერს ისეთი მნიშვნელობა და გადენა არა აქვს, როგორც თეატრს და სახალხო ლექსებს. თეატრი არის ერთი იმ საშუალებათაგანი, რომელიც უეცრათ ჩაფიქრებს საზოგადოებას, დაწყებინებს თავის თავის ანალიზს და თუ რასმე ნაკლები ენებას ჰხედავს თავის ღირებებაში, რამოდენათმე მაინც მოიშლის. მითომ გაფუჭებული უნდა იყოს კაცი, რომ მაზედ თეატრმა კეთილი შედეგი არ მოახდინოს. ხშირათ კაცი იძულებულია, მისდა უნე-

*) „დროება“, № 32.

დღიური

შუთისილამ გვატყობინებენ, რომ შუთისში იმედი მიეცათ, რომ მალე საქალბო გიმნაზია გაიხსნება.

* *

ჩვენ გვითხრეს (თუმცა ძნელად დასაჯერებელი კა ეს ამბავი), რომ, შვირლიში უეზდის სასწავლებლის გასამართავად, 1867 წლიდან ინიშნება ყოველ წელიწადს განსაზღვრული ფული და სასწავლებლის გამართვაზე კი კაცი არ ჰფიქრობს.

შორაპნის უეზდი ერთი უმდიდრესი და უდიდესთაგანი უეზდია შუთისის გუბერნიის და მით უფრო სამწუნაროა, რომ დღევანდლამდე ამ უეზდში უკანასკნელი ორ-კლასიანი სასწავლებელი მაინც არ არის.

* *

ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო ამას წინათ პატარა კორრესპონდენცია ახალ-სენაკიდან, რომელშიაც კორრესპონდენტი დაწვრილებით გვიამბობდა, ტიხურის ხიდის თაობაზე, ხალხის გაწვალების ამბავს, როცა ხიდის ფიცრები გადაჭრნდათ ნოქალაქვეთანაო.

მართი სარწმუნო კაცი გვწერს ახლა, რომ ეს ხალხის შეწუხების ამბავი ერთობ გაზვიადებული და შემცდარი არის; ხალხისთვის ამნაირი მუშაობა უფრო გაადვილებული და მოხერხებული იყო, ვიდრემ ფულის გადახდევინება; არაფის არ უცემია მუშებისთვის, ურმით გადატანა ერთი-ორად უფრო ძვირად დაუჯდებოდა ხალხს და სხე.

* *

ბურად მოიშალოს რომელიმე თავისი უღირსი ქცევა, რომ კომედიის ტიპად არ გახდეს (როგორც „თივით მოგზაურობაში“ პარმენ იასამანიძე). ეს არის სარკე, რომელიც ნამდვილ პასუხს აძლევს ცხოვრებას. „სოფელი არს თეატრონი, ხოლო კაცნი მოთამაშენიო“, ამბობს პოეტი. ჩვენც შეგვიძლიან ესთქვათ, სცენა წარმოადგენს ქვეყანას და აქტიორები ხალხს.

×

მოგვცემს ამ გვარ მოთხოვნილებაზე პასუხს პეტრონოვი თუ არა? როცა იმის კომედიას „მინდა ძნენინა ბაეხდე“ ჰკითხოვო, გადაჭარბებისა და ბაზრული სიტყვების მეტს თითქმის ვერასფერს ვერ ჰხედავ; ეს უფრო სცენაა მკითხველის თვალში, ვინემ კომედია. უკეთესი იქმნებოდა, რომ აეტარს ეს პიესა ამბავად დაეწერა; მაშინ უფრო რიგიანი გამოვიდოდა, ვინემ ვხლა კომედიათ.

არა-და რა არის მართლა კომედია, თუ მასში არც ინტრიგაა გაყვანილი და არც ნამდვილი ხასიათები ჰსჩანან? ხშირათ შეხედებით აქ ისეთს ალაგებს, რომელიც არც ნამდვილს სურათებს ჰგავს, არც სიმახვილეს და არც სიმართლეს. ბაზრული სიტყვების ხმარება, ზნეობითი ცინიზმი, ეს მწერალს არ ეკადრება. პოეტს მხოლოდ მაშინ ეპატიება ცინიზმი, როცა მან მიზნათ დასა-

შოთილამ გვატყობინებენ, რომ რიონის ბოლოში ამ ქალაქთან დიდ მანძილზე გასილაო და ამის გამო ამას წინათ ცეცხლის გემი „რიონი“ გასილაო და მდესისკენ მიმავალ ცეცხლის გემზე — „იუნონაზე“ წასვლის მსურველები დიდის წვალებით შევიდნენ ზღვაში სანდლებითაო. ამ ბოლოზის გასილვის მიზეზი, მდინარე რიონი არის თურმე, რომელიც ყოველთვის ამ დროს მოიმატებს და ამ ადვილს ბევრს სილაო სტოვებს. „შველანი მოუთმენელად მოვილან ამ შოთის ნაფსადგურის გათავებასაო; მაგრამ ვინ იცის, როდის ველირსებოთო“, — ასე გვწერს ჩვენი იქაური კორრესპონდენტი.

* *

ძიხიყილამ გვწერენ, რომ ამ ზამთრის ბოლოს ერთობ მშრალი დღეები დადგა და მცხოვრებლები ძალიან შეშინებული იყვნენ წლივანდელ მოსაუალზედა; მაგრამ, ღვთის შალღით, ამ მარტის 21-ს დაიწყო წვიმები და მას აქეთ ცოტა იმედი მოგვეცაო.

* *

შორაპნილამ გვწერენ შემდეგ ამბავს: „უყურეს, უყურეს ჩვენი უეზდის მცხოვრებლებმა პრისტაფებს, იქნება ისინი მოგვეხმარონ და ქურდებისაგან დაგვიხანანო; მაგრამ ამ იმედისაგან დიდი არა გამოვიდა რა. ბოლოს ისევე თვითონ გაუფრთხილდნენ თავს.

„ეს მეორე შემთხვევა არის ამ ჩვენს უეზდში, რომ ქურდი დიჭირეს და ისე დასტრეს, რომ ამიერიდგან აღარ გაივლის, ვგონებ, დამე მიხტომას გულში. ბუშინლამ ვილა-ცა ღვედარანს მიხტომია ორი ავაზაკი. შეუღლან თუ არა სახლში, ერთ ავაზაკს ამოუღია ხანჯალი და მიუმართავს სახლის პატრონისთვის; მაგ-

რამ იმას ხლმისთვის ხელი მოუწვლია და ისე დაუჭრია, რომ ბევრი უდახბობა: „მიშვილეთ, ჩემ დღეში აღარ გავებდავ შენთან მოსვლასო!“

„მძიმეთ დაჭრილი ერთი ავაზაკი გუშინ ჩამოიყვანეს უეზდის სამართავლოში. მეორე ავაზაკი კი გაქცევიათ, მაგრამ მშემდგომ ისიც დაუჭერიათ და ისიც აქ ჩამოიყვანეს. სასამართლო, რასაკვირველია, ღვედარანს მოწმეებს მოსთხოვს და, იმის ბედათ, ამ დროს მას შინ ბევრი მოწმეები დასწრებია.“

* *

მართი ორპარელი გლეხისაგან მივიღეთ ჩვენ შემდეგი ახირებული წერილი, რომელსაც შეუცვლელად ვებეჭადეთ:

ბატონო რედაქტორო! „მასულ პრასკევს ჩვენი მრპირის დუქნებში ვნახე, რომ ვილაც პატროსანი კაცი თქვენ დალოცვილ ქართულ გაზეთს ჰკითხულობდა.

„ღაღღე პირი და მეც, სანამ სულ არ ჩაიკითხა ის ფურცელი, არ მოეშორებოდა, იმნაირი სასამოცნო საკითხავი ყოფილა ის დალოცვილი; იმის ყურებით, ბატონო, სახლში წასვლა; თუმცა ძალიან გვეჩქარებოდა, მარა არ გავგხსენებია არც მე და არც ჩემ ამხანაგებს.

„მოველ ნაირი ამბავები ეწერა იმ მაღლიანში — ჩვენი ქვეყნისა და სხვა ქვეყნებისა; ხალხის ცხოვრება, ხელმწიფეების ამბავი, გზების, გლეხების, ვაჭრების და ყველაფერი. რადგანც ყოველ გვარი ამბავი იბეჭდება, ძალიან მაღლს იზამ, ბატონო, რომ ჩვენც ჩაგვებეჭდადე ჩვენი ვაჭრების ამბავს. რასაკვირველია, მაგისთანა კარგ ცისკარის ქალაქს ჩვენი ნაჩაღნიკიც წაიკითხავ; და ავება რამე გვეშველოს.

„ჩვენში გამოვიცილს, ბატონო, სახელმწიფო მოსიყრდნელებსა და ორი ცერისა ჰიგნობისა ქრისტიანულ-გან მსურავთსკენ უხეველ წერილს სჭარდებო კეთება და დიდ-ძალი მუშაობა. საშინლათ გვემტერება მდ. მკამინას წყალი. მასულ წელში ბატონ-და ნაჩაღნიკმა განიზრახა ისეთ აღგილზე გაყვანა ამ გზისა, სადაც ეს წყალი აღარ უნდა შეხედნოდა მვენებელად, და ქიც შეიძღებოდა, რომ ერთი ჩვენი მეზობელი არ გაგჩენოდა, ჩვენდა დასალუბავად, რომელიმაც იმდენი იხლოფორთა, რომ ამ გზის მუშების ნაზირატლობა იშოვა. მხოლო თვითონ გამოპლანა იმ ნაირათ, რომ გზას მისი ერთი ფინჩხა მიწა არ მოეკავებია და იმისთანა ალაგას მიგვაყენა მდ. რიონს, რომ იქ ხიდი მიდღეში არ მოხერხდებოდა, ამბობენ.

„მარა ამნ ქარი მოგქამოს: რა ჩემი საქმეა ინჯინერობა, რომ სხვა ნაირათ არ გვატყუებდეს ეს ნაზირატელი: მოვა, ბატონო, გამოგვაწოვს მუშებს ერთი კვირის ხარჯით და მოგუყვართ თავის საკუთარ სამუშაოზე იმ პირობით, რომ გზის მუშაობიდან გაგვანთავისუფლებს. მით კვირის შემდეგ, თუ რამე ჩვენ საგძალზე გადაგვჩხა, იმასაც გვატოვებინებს თავისთვის; აბა შენც არ მოხიკვდე, გზის მუშაობიდან არ გვატოვებინებს; მას რომ უმუშავეთ, იმის მაგიერად კაცს კი არ ჰქირაობს, ისევე ჩვენ გზისთვის მეორე კვირაში გავწევებს და გვაშუშავებს.

„ბატონო, ქემანც ან მეზობელი არ იყვეს და ან სწავლული მაინც იყოს, რომ ამ ნაირათ გვალორებს, შენი ჰირიმი!“

მრპირელი მამასხლისის ნაპოპონიკარი გლეხი სიმონ ჩანჩალაძე ბარსჯაოხო, 23 მარტს

მისთვის, უნდა შეიტყოს, თუ რითი გათავდებო მისი ბედი; მაგრამ ვხედეთ ბოლოს, რომ ბარბარე ყოველისფერზე ხელაღებული რჩება.

×

რაიცა შეეხება პიესას „ქმარი ხუთის ცოლისა“ (კომედია ორს მოქმედებად), ჰუმარითად ვერ წარმომიდგენია, ვისთვის ან რისთვის არის დაწერილი? სახელათ რომ აეტარს „პრშიყი ხუთის ქალისა“ დაერქმია და მისდა-გვარად მოერთო პიესა, საუცხოვო ვოდეილი გამოვიდოდა და ვხლა კი არც კომედიას ჰსწევია და არც ვოდეილს, რადგან ორივეა: პირველი მოქმედება კომედიას ჰგავს და მეორე კი ვოდეილს. ეს კიდევ არაფერი. სად გაგიგონიათ, რომ საქართველოს მეფეების და ბურის მთავრების დროს ერთს კაცს ოთხი ცოლი ჰყავდეს ერთსა და იმავე დროს და მეფე ნებას აძლევდეს? ეს შეუძლებელია; შეუძლებელია მით უფრო, რომ ამ გვარ დანაშაულობისთვის სასტიკათ ეპყრობოდნენ ჩვენი მეფეები და მთავრები. ამასი ისტორიაც გვეთანხმება. — თუ ვადმოკეთებულია კიდევ უარესი: ისეთი პიესა უნდა ვადმოითარებნოს ან ვადმოკეთდეს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას პირდაპირ პასუხს აძლევდეს. პოეტმა ერთობ არ უნდა მიანებოს თავი თანატაზიას, თორემ, უეჭველია, სამხლევარს

გარდასცილდებო. მისთვის საჭიროა ფანტაზია იმოღენათ, რომოღენათაც თხზულების გარემოება მოითხოვს; არც მეტი, არც ნაკლები. რამდენათ რიგიანათ ვანუსხლვრავს პოეტს ეს კანონი, იმოღენათ ნამდვილია მისი სურათი და მნიშვნელობა.

ამ პიესაში კი მოურავის იოთამ მუჯარაძის, გლეხის ბერუა ბასილაშვილის და გლეხის იორდანე მამულაშვილის მეტი, რომელიც საუკეთესო ალაგებს შეადგენენ თავილამ ბოლომდის სიცრუესა ჰგავს. აეტარს თითქო უნდოდა დრო ვაეტარებინა და მიანება თავი ფანტაზიას. თაღდება მით, რომ ეს ჩვენი ღონ-შუანი სვიმონი — ჯერ ოთხის ცოლის ქმარი — ვახდება მეხუთე ცოლის ქმართ, მიატოვებს უწინდელს თავის ოთხს ცოლს და ვაფუროება ტრაპიზონისაკენ თავის ახალ ჯვარდაწერილის მეუღლით.

მამობ, რომ ჩვენის ჩვეულებისა და ისტორიის წინააღმდეგი რომ არ იქოს, ე. ი. ნამდვილი ცხოვრების ნაწყვეტი იყოს, რიგიანი პიესა იქნებოდა.

ა. შ — ქე (ზაგრძელება შემდეგში)

„დროების“ კომარისკონფედერაცია

მოხუცი დედა, 20 მარტი

ტრაპიზონის ეალი-ფაშის განკარგულებით, ამას წინათ აქ მოვიდა ორი ბინაში, ერთი ყირსარდალის (ქანდარმის) და მეორე ბატალიონის კომანდირი, სიმართლის ცნობას შესაქრებათ—თუ რაში მდგომარეობს ქობულეთლების ოლქობის მიზეზი და რა ზომა მართებს მართებლობას, რომ იხმაროს ოლქის დასამშვიდებლად; ეს ცნობა უნდა წარედგინათ ტრაპიზონის ეალისათვის.

ბინაში ბირ-და-პირ წაიდნენ სოფელში, სადაც ოლქის ჰქონდა თავყრილობა; მივიდნენ ახლოს თუ არა, გაუგზავნეს კაცი და დაიბარეს ოლქა-ბაშები (თავი კაცები) ოლქობის მიზეზის სათქმელათ; მაგრამ იმათ პასუხი უფეს, რომ თქვენ ჯარის კაცები ხართ და გნებავთ, რომ ჯარით და ძალით დაგვიჭიროთ, ჩვენ თქვენთან საქმე არა გვაქვს; ჩვენ გვინდა იმისთანა მთავრობის კაცი, რომელმაც ჩვენი შეწყობა და გაჭივრება სიმართლით გამოიძიოს და სამართლიანთ გაწყოს. ბინაში გაჯავრებული წაიდნენ ბათუმში და მოახსენეს ბათუმის ფაშას, რომ თუ ძალით არ დავიმორჩილეთ, ნებით ოლქა არ დაწინარდებო. შაშამ უპასუხა, რომ მე გამომცვალეს და ჩემი საქმე არ არის, ჩემ მაგიერი რომ მოვა, ის მოახდენს განკარგულებას. მაშინ ბინაში ბათუმის ტელეგრამით შეატყობის ტრაპიზონის ეალს, რომ უკიდურესი საჭირო შეიქნა ჯარების გაგზავნა ქობულეთების დასამშვიდებლათ.

ტრაპიზონის ეალი-ფაშამ მოიწერა, რომ სამი როტა სალდათები და ორმოცდაათი კაცი ყირსარდლები (ქანდარმები) ქობულეთების სოფლებში ჩაყენეთ, კარდონზედ ყარაულები მოუმატეთ და ამ მოკლე დროში ახლად დანიშნული მეთესვით მოვა, რომელიც მოიტანს ინსტრუქციას, თუ როგორ უნდა დაამშვიდოთ ქობულეთლები.

ეს ბრძანება რომ გარდაცეს ქობულეთის კაიმაკამს, იმან ოფიციალურად მისწერა ოლქის თავ-კაცებს შემდგომი სიტყვებით: „ბრძანებისამებრ ტრაპიზონის ეალი-ფაშისა, თქვენს სოფლებში ჯარები უნდა დაეყენოთ და მზათ იყავით მისაღებათ და ამის პასუხსაც გთხოვთ.“ ოლქა-ბაშებმა, გვართ: ვუწუნავემ, პაპუნაის შეილმა, მყუანაძემ და მაიკაცოსის შეილმა ქალაქი და ბეჭდების დასმით პასუხი უფეს, რომ, თუ ჯარები კარგი განზრახვით და სიმართლის შესატყობათ მოდის, ჩვენ მზათ ვართ მივიღოთ და თუ ჩვენ დასაზრუნებლათ მოდის, ისიც თქვენი ნება იყოს, მაგრამ ამასაც ვიტყვით, რომ ქობულეთში ჯარის მოყვანა საჭირო არ არის; თუ მთავრობა ნებას მოგვცემს, ჩვენვე დავდგებით ყალაურათ (ხევის-თავებათ), და თუმცა კარდონზედ ან ქობულეთში რა-მე უწყსოება მოხდება, ან ქურდობა და სხვა რამე ავაზაკობა, ჩვენ ვიქნებით მთავრობის წინაშე პასუხისმგებელი.

მიხივიდამ, 22 მარტი

ღმერთმა აშოროს ქა-ყელებს ის გაჭირვება და ის უბედურობა, რაც წასული წლის წინათ გამოცდადეს და მოუვიდათ. ბატალიონი ხალხი დიდთ პატარამდე გულ-ხელ დაკრფული და დაღრმებული ვედრებიან ღმერთს, რომ გამოცდილის გაჭირვებისაგან დაიხსნას.

ეს მიეჭეს კერა მიდის, რაც აქ ცოდვან ნამი არ გადმოვარდნილა; ნამეტანმა გვალვამ ძრიელ აზნიანა ხნა-ენათესა, რამოდენიმე საქონელი უბაღობით იხრცება, ასე რომ კაცმა შეხედოს დაღრმებულს ცხერის ფარას, იმათი ბღაეილისაგან გული შეუწყობდება. თუ ამას იქითაც ვგეთი დრო დადგა, ხალხი სულ ხელ-აღებული დარჩება თავიანთ ნაჭირნახულებზე. პირველად, როცა ჯეჯილმა მიწიდგან ამოჰყო თავი, გაუჩნდა თავი და სულ ერთიანთ გადაქამა; როცა თავდა გადაკეთა, დაუდგა გვალვა და ჯეჯილი მიწას ზევით აღარა შორდება.

ხალხს ძლიერ სურს მოიხმაროს რაიმე ღონის-ძიება, რომ გვალვისაგან არ იღუპებოდეს. ამათი საშუალება ის იქნებოდა, თუ რომ აქ ყოფილიყო იგეთი წყლები, რომ ყველას თავიანთი ადგილები მოერწყოს; მაგრამ აქ ისეთი სიძვირე არის წყლისა, რომ დასაღვეათაც უჭირსთ შოვნა ზოგიერთ სოფლებში.

ახირებული ამბავი გაიბოთ: ამ ორი დღის წინათ შეიკრიბა სამი საზოგადოების ხალხი და თვითო სოფელზე ამოირჩიეს თითო კაცი სომხეთისკენ გასაგზავნათ, საიდგანაც უნდა მოიტანონ წმინდა იაკობის წყალი. ეს წყალი, როგორც ამბობენ, გამომდინარეობს პარატის მთის ძირში. გაგზავნილი კაცები პირველათ უნდა მივიდნენ მხიპაწინში, გარდაიხადონ პარაკლისი და აქედგან წაიყვანონ ბერები წ. იაკობის წყალთან; აქაც, სოფლის ჩვეულებისამებრ, უნდა გარდაიხადონ სამღეთო და წამოლონ წყალი, რომელიც, ხალხის პაწით, წვიმას მოიყვანს მიხიყში.

მიხილ ბავაშლოვი

წეს-დება

მისხილის თავად-აზნაურების საადგილ-მავალთ ბანისა მუთაისს

(დასასრული)

დ. კრება და კომიტეტი გირაოს-ფურცელთი მმპატრონეთა

§ 87. ბირაოს ფურცელთ მმპატრონეთა შეუძლიანთ შეიკრიბონ ქმუთაისს საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივის საყოველთაო ძრების დროს აღმოსაჩივლო წევრთა გირაოს-ფურცელთ მმპატრონეთ კომიტეტისა. ამგვარი წევრთა აღმოსაჩივნი ხმის უფლება აქვს ყველას, ვინც წარმოადგენს სამი ათასი მანეთის, ან მეტის გირაოს ფურცლებს. იმათ კი, ვისაც ამაზედ ნაკლები გირაოს ფურცლები აქვს, შეუძლიანთ შეამხანადნენ და, თუ იმათი საკუთარი გირაოს ფურცლების ფასი ერთად სამი

თას მანეთზედ ნაკლები არ გამოვა, გამოავხანონ ძრებაში თავისი ვეტილი, რომელსაც ხმის უფლება ექნება. § 88. კომიტეტი შესდგება სამის წევრისაგან, რომელნიც აღორჩევიან სამის წლის ვადით (§ 87) და გამოირჩევენ თვის შორის თავსაჯდომარეს. მითოველს წევრს უნდა ჰქონდეს სამი ათასი მანეთის გირაოს ფურცლები მანც, რომელნიც შენახული უნდა იყოს ბანკის კასსაში.

§ 89. ბირაოს ფურცლების მმპატრონეთ კომიტეტს უფლება აქვს; დანიშნოს ბანკის ბამგეობის სხდომებზედ დასასწრებლად თავისი დეპუტატი, რომელსაც მოლაპარაკებაში ხმა აქვს; გაავხანოს დეპუტატი დასასწრებლად გირაოს ფურცლების გასაუქმებელს წილის ყრახედ და იმის დასამოწმებლად, რომ წილ-ხედომილი ფურცლები მოსპობილი არიანო; განიხილოს წლიური ანგარიშები და მოქმედებანი საზოგადოებისა და გამოსთქვან თავისი შენიშვნები. თავისი შენიშვნები ბანკის საქმეების მმართველობაზედ კომიტეტს შეუძლიან შეატყობინოს ბანკის ბამგეობას, ზედამხედველს კომიტეტს, საზოგადო ძრებას და შინანსთ მინისტერს და გამოაცხადოს საეროდ, როგორც თვისი დადგინებანი საზოგადოების საქმეზედ. აგრეთვე ბანკის ბამგეობისა და ზედამხედველის კომიტეტისა განმარტებანი, რომელნიც შენიშვნებმა გამოიწვიეს.

თავი VII ანგარიში

§ 90. ბანკის მოქმედებათა წელიწადი ითვლება 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდის.

შენიშვნა. თუ რომ ბანკის განსნა 1 ივლისს შემდგე მოხდა, მაშინ იმ წლის დანარჩენი, როცა ბანკი გაიხსნა, შემდგე წელს მიემატება.

§ 91. წლის ანგარიშში უთუოდ უნდა იყოს შემდგე ცნობები:

- 1) რიცხვი სესხთა და რაოდენობა თერთა, რომელნიც სესხის ამღებლებზედ ვალად დარჩენილან წასრულის საანგარიშო წლიდან; 2) ახალი სესხთა რიცხვი და იმ ფულის რაოდენობა, რომელიც ამ სესხებთ გაცემულა; 3) რამდენი ფული დაუბრუნებიათ სესხის ამღებლებს საზოგადოების კასისათვის საანგარიშო წლის განმავლობაში: ა) ყოველ წლით სესხის გასაუქმებლად შესატანის ფულის გარდახდით, ბ) სესხის გასაუქმებლად შესატანს გარდა თავის ნაწილების გარდახდით, გ) ვალის ზღვევებით გირაო ადგილმამულის გაყიდვისაგან, როცა სესხის ამღებმა ვალი დროზედ არ გარდინა, და დ) უზრუნველ-მყოფელ საზოგადოებათაგან სასყიდლის მიღებით გირაოს ქონების დამწვარს ნაწილებში; 4) სესხის ამღებთ რიცხვი და იმ ვალების რაოდენობა, რომელიც გარდაუხდელი რჩებიან შემდგეის საანგარიშო წლისათვის; 5) სარგებლის რაოდენობა, რომელიც საანგარიშო წლის განმავლობაში სესხის ამღებთაგან ბანკს შემოსულია; 6) საზღაური და დროზედ შეუტანელი ფული სარგებლად და სესხის გასაუქმებლად გარდასახადსაგან (თითოველი სტატია ცალკ-ცალკე) დარჩენილი წარსული წლისაგან, გ-წმენდილი, ხელ-ახლად შეგროვილი და შემდგე წლისთვის დარჩენილი; 7) საუნჯე და შემონახულის თავის რაოდენობა და იმათი მოხმარება; 8) რიცხვი და თავნი გირაოს ფურცლებისა, რაც საანგარიშო წლის დასა-

წყისისათვის მუშაობაში დარჩენილია; 9) რიცხვი და თავნი გირაოს ფურცლებისა, რაც ახლად გამოცემულა; 10) რიცხვი და თავნი გირაოს ფურცლებისა, რაც საანგარიშო წლის განმავლობაში მოუსხათ: ა) გამოსყიდით გასაუქმებლად წილის ყრის გამო, ბ) ვალში სესხის ამღებთ-გან შეტანით, გ) ვადა-გადაცილებულის და ეჭრობით გასყიდულის ქონების ფასათ გირაოს ფურცლების აღებით; 11) რიცხვი და თავნი გირაოს ფურცლებისა, რაც შემდგეის წლისათვის მუშაობაში რჩება; 12) დასაცვლელად წარდგენილი სარგებელთ-კუბანები და იმათში მიცემულის ფულის რიცხვი, როგორც საანგარიშო წლის ისე წინა წლების განმავლობაში; რიცხვი კუბანთა, რომელთაც დაცვლის ვადა შესრულებიათ, მაგრამ რომელნიც ჯერ კიდევ არ წარმოუდგენიათ; 13) მმართველობის ხარჯი და ყველა სხვა გასავალი ბანკისა; 14) ნაღდი ფულის რაოდენობა, რაც ბანკის კასსაში შენახულია; 15) რიცხვი და რაოდენობა ფულთა, რაც მოკლე-ვადიანის სესხის გარდასახდელად ჯერ არ შემოტანილა, რაც ახლად გასესხებულა, გირაოთა დასახელებით და იმ ფულთა რაოდენობის ჩვენებით, რაც გარდახდილა, ან შემდგე წლაშდის გარდაუხდელი დარჩენილა.

შენიშვნა 1-ლი. მითოველი აქ მოხსენებული სტატია ცალკ-ცალკე უნდა იყოს ნ. ჩვენები და იმათი ერთმანეთში შერევა არ შეიძლება.

შენიშვნა 2-ლი. ციფრების შეცდომით ჩვენებისათვის ანგარიშში და სასწორში პასუხის მგებელნი არიან ბამგეობის წევრნი, რომელნიც ამ ანგარიშზედ და სასწორზედ ხელს აწერენ.

§ 92. წლის ანგარიშები, ზედამხედველის კომიტეტის აზრითურთ, და იმათზედ მომხდარი საზოგადო ძრებათა დადგინებანი უნდა გამოაცხადონ § 17-ში დასახელებულს გაზეთებში და ამ განცხადების სამი ეჭვებპლიარი საცნობლად შინანსთ მინისტერს უნდა წარუდგინონ.

§ 93. ყოველ წლით ანგარიშს გარდა ბამგეობა აცხადებს ბანკის საფინანსო სასწორს ექვს თვეში ერთხელ და ექვსი კვირით წინ მანც ნახევარის წლის გათავებამდის.

თავი VIII

მოგების განაწილება

§ 94. ნაღდის წლიურის მოგებისაგან, რომელიც ყველა ხარჯისა და ზარალის გამოორიცხვის შემდგე დარჩენილა, უნდა გადაიღვას: 1) ორმოცდაათი ნასალი იმ თავნის შესადგენად, რომლითაც უნდა დაკმაყოფილდეს მიუცილებელი საზოგადო საქიროებანი (§§ 31 და 78); 2) ოცდახუთი ნასალი საუნჯე თავნის გასადიდებლად (§ 2); 3) თორმეტ ნახევარი ნასალი შემონახულის თავნის შესადგენად; 4) ორ-ნახევარი ნასალი ბანკში მოსამსახურეთა სასარგებლოდ; 5) ხუთი ნასალი დამფასებელი მომშისის წევრთა და ბანკის აგენტებთა სასარგებლოდ და 6) ხუთი ნასალი ბამგეობის თავსა-მარისა და დირექტორების სასარგებლოდ.

§ 95. როდესაც საუნჯე თავნი ერთ მილიონ მანეთამდის შეაწევს, მერმე მოგების ნაწილი, დანიშნული, § 94-ის ძალით, საუნჯე თავნის გასადიდებლად, უნდა მიემატოს შემონახულს თავნს. როდესაც ეს უკანასკნელი თავნი საუნჯე თავნის მესამედის ოდენი შეიქმნება, შემდგე

